ენერგეტიკული კომპანია აცხადებს ვაკანსიას **ბუღალტრის** პოზიციაზე.

ძირითადი მოვალეობები:

- საბუღალტრო პროგრამაში ფინანსური ოპერაციების დროული და სწორი აღრიცხვა;
- პირველადი დოკუმენტაციის მომზადება (ანგარიშ-ფაქტურები, ინვოისები, მიღება-ჩაბარების აქტები) წარმოება და დაარქივება;
- საგადასახადო ანგარიშებისა და დეკლარაციების მომზადება დროული წარდგენა შესაბამის სამსახურებში;
- კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების დროული გადახდის შესრულება;
- კრედიტორული და დებიტორული ნაშთების კონრტოლი;
- სტატისტიკის დეპარტამენტისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიწოდება;
- გარე აუდიტორებთან და საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება - ბუღალტერია, ფინანსები;
- მუშაობის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება საგადასახადო კუთხით;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის კარგად ცოდნა, ბასს;
- აუცილებელია ბუღალტრულ პროგრამა INFO-ში მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- ქართული და ინგლისური ენების ცოდნა აუცილებელია, რუსული - სასურველია.

პიროვნული უნარ-ჩვევები;

- ორგანიზებული, პუნქტუალური;
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- დეტალებზე, ხარისხზე და შედეგზე ორიენტირებული;
- ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი;

დაინტერესებულმა პირებმა უნდა გამოგზავნონ CV ფოტოსურათით ელექტრონულ მისამართზე: t.bartaia@gedf.com.ge **2016 წლის 20 მარტის** ჩათვლით. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თუ CV-ში ან ელ.ფოსტის თემატიკაში მითითებული არ იქნება თანამდებობა, რომელზეც აგზავნით დოკუმენტაციას, განაცხადი არ იქნება განხილული.

წარმოდგენილი განაცხადებიდან მხოლოდ კომპანიის მიერ შერჩეულ კანდიდატებთან მოხდება დაკავშირება.

განცხადების წარმოდგენა განიხილება, როგორც კადიდატის თანხმობა, რომლითაც ის კომპანიას აძლევს უფლებას მოიპოვოს ის ინფორმაცია, რომელიც მას ესაჭიროება დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.